წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის ანგარიში

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის შესაბამისად, წარმოგიდგენთ, წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის ანგარიშს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ინფორმაციის თავისუფლების თავით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულების თაობაზე:

ა) წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოში საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით შემოსულია 3 (სამი) განცხადება, საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის მოთხოვნით განცხადება არ შემოსულა, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარყოფითი გადაწყვეტილება არ მიღებულა;
ბ) საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებული ყველა მოთხოვნა დაკმაყოფილდა, გადაწყვეტილება თითოეულ შემთხვევაში მიღებულია წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოში საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის, ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის აპარატის უფროსის თამარ ცქიტიშვილის მიერ. საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ და კოლეგიური საჯარო დაწესებულების მიერ საკუთარი სხდომის დახურვის თაობაზე გადაწყვეტილება არ მიღებულა;
გ) საჯარო მონაცემთა ბაზებისა და წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავების, შენახვისა და სხვისთვის გადაცემის თაობაზე არცერთი გადაწყვეტილება არ მიღებულა;
დ) საჯარო მოსამსახურეთა მიერ საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ მოთხოვნები არ დარღვეულა და შესაბამისად საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის მიმართ დისციპლინური სახდელი არ გამოყენებულა;
ე) წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფორმაციის დამუშავებასა და გაცემასთან დაკავშირებით ხარჯები არ გაუწევია.

საკრებულოს თავმჯდომარე Irakli Gigineishvili 01016004467 Digitally signed by Irakli Gigineishvili Date: 2025.12.10 11:21:10 **ი. გიგინეიშვილი**